სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030643622216915

08 / დეკემბერი / 2015 წ. **თბილისი #06-214/ო**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის მიზნით ინსპექტირების ჯგუფების შექმნის და პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ

„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული წესის 22-ე მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის და “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) ინსპექტირების ჯგუფი/პასუხისმგებელი პირი განისაზღვროს შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით.

2. ცენტრის მიერ მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში ინსპექტირების ჯგუფის წევრებად/პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს უშუალოდ მომსახურების მიმღები და მათვე დაევალოთ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3. სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფის წევრების/ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირის საპატიო მიზეზით სამსახურში არ ყოფნის, ან იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფი/პასუხისმგებელი პირი, მოწოდებული საქონლის ინსპექტირება, “საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საწყობებზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ” სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2015 წლის 27 მარტის #06-60/ო ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში დაევალოს:

ა) ზურაბ ზარიაშვილს - ცენტრის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსს (#2 და #4 საწყობები);

ბ) ირინა იორამაშვილს - ცენტრის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამმართველოს

უფროს სპეციალისტს (#2 და #4 საწყობები);

გ) მერი კიკნაძეს - ცენტრის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამმართველოს სპეციალისტს (#1 ;#3 და #5 საწყობები);

დ) თამარ ბადურაშვილს - ცენტრის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამმართველოს სპეციალისტს (#1; #3 და #5 საწყობები);

4. ამ ბრძანების პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრულმა ინსპექტირების ჯგუფის წევრებმა/პასუხისმგებელმა პირმა გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით უზრუნველყონ:

ა) მოსაწოდებელი ან/და მოწოდებული საქონლის, მომსახურების, სამუშაოს მოცულობის, ხარისხის და მიწოდების ვადების კონტროლი;

ბ)ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე ზედამხედველობა, შესაბამის დოკუმენტაციაზე ხელისმოწერა და სათანადო დასკვნების მომზადება მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ან/და შეუსრულებლობაზე.

5. ამ ბრძანებით გათვალისწინებული, გარდა მე-2 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვისა, სახელმწიფო შესყიდვის ხეშეკრულების ფარგლებში მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება დევალოს მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირებს.

6. ამ ბრძანების პირველი და მე-2-ე პუნქტებით განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფის შემადგენლობა (არანაკლებ 2 წევრით) და პასუხისმგებელი პირი განისაზღვროს უფლებამოსილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

7. ამ ბრძანების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას და ამ ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებულ ინსპექტირების და მიღება ჩაბარების აქტებს მიენიჭოს ერთი და იგივე ნომერი.

8. ამ ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნები არ ვრცელდება ცენტრის მიერ აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული და სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებზე.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და არ ვრცელდება ამ ბრძანების ძალაში შესვლამდე გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებზე და იმ ხელშეკრულებებზე, რომელთა გასაფორმებლად პროცედურები დაწყებულია ამ ბრძანების გაფორმებამდე.

10. დამტკიცდეს ინსპექტირების ფორმა თანდართული დანართის შესაბამისად.

11. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი).

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე